

მთა დონა

მროა – ალა ერთობაშია

ადამიანის მოღვა მაშინ არის ჩინებული, როდესაც იგი შეძლებისდაგვარად
 ღმერთს ემსგავსება. მაგრამ ადამიანის მოღვა ღმერთს უფრო მაშინ
 ემსგავსება, როდესაც ყველაზე მეტად ერთიანია, რამეთუ მხოლოდ ღმერთშია
 ერთიანობის საფუძველი.
 დანტე ალიგიერი

ერთიანობის, საყოველთაო მშვიდობისა და კეთილდღეობის იდეები უხსოვარი დროიდან უბიძგებს ადამიანებს ეძებონ ცხოვრების მოწყობის ისეთი ფორმები და საშუალებები, რომელიც უკეთ შეძლებს მათი კეთილშობილი მიზნების განხორციელებას - პლანეტაზე, დაპირისპირებებისა და ომების ნაცვლად, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას დაამკვიდრებს. სამწუხაროდ, მრავალი საუკუნის განმავლობაში ეს შეუძლებელი იყო. ალბათ, ადამიანთა ოცნებას მოგჯერ ახდენაც უწერია. ასეთი ახდენილი ოცნების მაგალითად შეგვიძლია ვიგულისხმოთ სახელმწიფოთა ის გაერთიანება, რომელსაც ევროკავშირს უწოდებენ.

ევროპის გაერთიანების ამოცანის თაობაზე, ერთერთმა პირველმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა. კერძოდ, ციურისში სიგყვით გამოსვლის დროს, 1946 წლის 19 სექტემბერს, მან გამოთქვა მოსაზრება ევროპის ინტეგრაციის უაცლებლობის შესახებ. უინსტონ ჩერჩილი მიუთითებდა, რომ ევროპას ესაჭიროებოდა საშუალება, რომელიც, საოცრების-დაგვარად შეცვლიდა მთელ სცენას, და რამდენიმე წელიწადში მას გადააქცევდა ისეთივე თავისუფალ და ბედნიერ ქვეყანად, როგორიც იმ დროისათვის შეეცარია იყო და, რომ ევროპელებს უნდა შეექმნათ თავიანთი სახელმწიფოების გაერთიანება.

1947 წლის ზაფხულში განხორციელება დაიწყო აშშ-ს ე.წ. “მარშალის გეგმა”. 1948 წელს “მარშალის გეგმა“ გარდაიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციად (OECD). იმავე წელს მოქმედება დაიწყო ბენილუქსის საბაკო კავშირმა. 1948 წლის 7 მაისს ჰააგაში მოწვეულ იქნა კონგრესი, რომელსაც “ევროპის კონგრესი” ეწოდა. კონგრესში მონაწილეობდა 20 ევროპული სახელმწიფოს 1000-ზე მეტი დელეგატი. მიღებულ იქნა რეზოლუციათა პაკეტი, რომელიც შეიცავდა მოწოდებებს ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთობის შექმნისაკენ, უსაფრთხოების, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და

სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად. კონგრესზე ორი ჯგუფი გამოიკვეთა; ერთი (საფრანგეთი და ბელგია) მხარს უჭერდა ევროპის ფედერაციის შექმნას და მეორე (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და სკანდინავიის ქვეყნები) - მარტივ სამთავრობათა-შორისო თანამშრომლობას. მოგვიანებით, 1950 წლის 9 მაისს ე.წ. “შუმანის დეკლარაციაში” შემოთავაზებული იყო საფრანგეთისა და გერმანიის ფოლადმწარმოებელი და ქვანახშირმომპოვებელი მრეწველობის შერწყმა.

CSC (ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის მოპოვების გაერთიანება), რომლის შექმნის ინიციატივა საფრანგეთიდან და გერმანიიდან მოდიოდა, იქმნებოდა როგორც ღია ორგანიზაცია, რომელშიც შესასვლელად გარდა დამფუძნებელი-ქვეყნებისა მიწვეული იყვნენ სხვა ქვეყნებიც. ამიტომაც კონფერენციას, რომელიც ECSC-ის დაფუძნებას მიეძღვნა, ესწრებოდნენ აგრეთვე – იტალიისა და ბენელუქსის (ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი) წარმომადგენლები. ECSC-ის შექმნის შესახებ ხელშეკრულებას, როგორც დასკვნით აქტს, მისმა მონაწილეებმა ხელი მოაწერეს 1951 წლის 18 აპრილის კონფერენციაზე. საბოლოო ჯამში ECSC გახდა „ექვსეულთა“ ორგანიზაცია – საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია. ხელშეკრულების დადების ადგილის მიხედვით იგი ხშირად იწოდება, როგორც პარიზის ხელშეკრულება.

დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო ამ ორგანიზაციაში ორი მიზეზის გამო: 1. არ სურდა წასულიყო თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვაზე და 2. გათვლებს „შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებული ურთიერთობების“ შენარჩუნებაზე აკეთებდა. ასეთივე პოზიციას იკაებდნენ ის დასავლეთევროპული ქვეყნები, რომელთა ორიენტაციაც მიმართული იყო ლონდონთან თანამშრომლობაზე. ECSC-ის ხელშეკრულება ძალაში 1952 წლის 23 ივლისს შევიდა, მას შემდეგ რაც იგი ყველა მონაწილის მიერ იქნა რატიფიცირებული. ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო 1952 წლის 10 აგვისტოს ქ. ლუქსემბურგში. ე. მონე მისი დამსახურების აღიარების ნიშნად არჩეულ იქნა ECSC-ის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს თავჯდომარის თანამდებობაზე. ევროგაერთიანების ექვსმა ქვეყანამ 1957 წლის 25 მარტს, ხელი მოაწერა რომის ხელშეკრულებას და ჩამოაყალიბა კიდევ ორი ორგანიზაცია – ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა (EEC) და ევროპის თანამშრომლობა ატომური ენერჯის დარგში (EVROATOM). 1965 წლამდე ევროპის “ეკონომიკურ გაერთიანებას” და “ევროატომს” ორი სხვადასხვა ორგანო

განაგებდა. 1965 წელს ეს ორი ორგანო ერთიან ევროკომისიად გაერთიანდა. 1965 წლის 8 აპრილს ECSE, EES და EUROATOM-ის აღმასრულებელი ორგანოები გაერთიანდნენ და შეიქმნა ევროპის თანამეგობრობა (EC). ამ შეთანხმებამ ძალა შეიძინა 1967 წლის 1 ივლისს, როცა ამ სამი კომისიის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ევროპის კომისია.

რეორგანიზაციამ ნაყოფი გამოიღო. ეს არა მარტო ევროკომისიასა და საბჭოს ეხება, არამედ უფრო ქმედითად და შედეგიანად ამუშავდა თანამეგობრობის მმართველობითი მექანიზმი. 1972 წელს თანამეგობრობაში მიიღეს დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია. შესვლის სურვილი გამოთქვა ნორვეგიამაც. 1975 წელს კი თანამეგობრობაში შესვლის განაცხადი საბერძნეთმა, ხოლო ორი წლის შემდეგ – ესპანეთმა და პორტუგალიამ გააკეთეს.

საბერძნეთის თანამეგობრობაში მიღების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1979 წლის 28 მაისს, რომელიც ძალაში შევიდა 1981 წლის 1 იანვარს. თანამეგობრობაში ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების ხელშეკრულებას კი ხელი 1985 წლის 26 ივნისს მოეწერა. ისინი თანამეგობრობის წევრები გახდნენ 1986 წლის 1 იანვრიდან. საბაჟო კავშირმა მოიცვა ახალი წევრი სახელმწიფოების გერიტორია. შეიქმნა ევროპის საინვესტიციო ბანკი, ხოლო 70-იანი წლების ბოლოსათვის გადაიდგა ნაბიჯები ევროპის ერთიანი სავალუტო სისტემის შესაქმნელად. ამ ზონაში ამოქმედდა ახალი ფულადი ერთეული – ეიკუ. 1984 წლის თებერვალში, ევროპარლამენტმა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო ევროპის კავშირის ხელშეკრულების პროექტი. ევროპის კავშირის შექმნის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წლის 7 თებერვალს ჰოლანდიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ მასტრიხტში. წევრი სახელმწიფოების მიერ მისი რატიფიცირების პროცედურა, რომელიც აუცილებელი პირობა იყო ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად, საკმაოდ გაჭიანურდა. ევროპის გაერთიანების თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში, ამ ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა ეროვნული ძირითადი კანონების ტექსტებში. მიუხედავად ევროპის კავშირის ხელშეკრულების რატიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა სირთულისა, ის ერთხმად იქნა რატიფიცირებული ევროპის გაერთიანების ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ და ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს.

ეს დოკუმენტი, რომელსაც მასტრიხტის ხელშეკრულება ეწოდა, პირველ რიგში განსაზღვრავს ევროპის კავშირის შემადგენლობასა და სტრუქტურას, მის მიზნებსა და პრინციპებს. ხელშეკრულების თანახმად თანამშრომლობის ახალ ფორმად და პოლიტიკად

განისაზღვრა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე თანამშრომლობა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სფეროებში.

გერთიანების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეულ იქნა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა. ამისათვის მასტრისტის ხელშეკრულება აღგენს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის პროგრამას, რეალიზაციის განრიგს და ერთიანი სავალუტო ერთეულის “ევროს” შემოღებას.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთაგან თერთმეტმა 1999 წლის 1 იანვრიდან მოქმედებაში შემოიღო ახალი სავალუტო სისტემა და სავალუტო ერთეული - ევრო.

1997 წლის 2 ოქტომბერს ამსტერდამში ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას. იგი ამსტერდამის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი. ევროკავშირი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა ბევრად სცილდება მხოლოდ შემავლი ქვეყნების კონკრეტულ ინტერესთა სფეროს. იგი დამოუკიდებლად მოქმედებს საერთაშორისო ასპარეზზე, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით სუბიექტუნარიანია და მრავალფეროვანი თანამშრომლობა აქვს მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანასთან.

ევროკავშირი ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის ფარგლებში მოქმედებს ფულად ერთეულთა ერთიანი მექანიზმი, საერთო ეკონომიკური და სოციალური სისტემები. მისი მოქმედება წვდება 450 მილიონ ევროპელსა და და მთლიანად ევროპას. ორგანიზაციის შექმნით გაუქმდა მთელი რიგი საგრანზიგო-საგრანსპორტო ბარიერები, ცალკეულ ქვეყანათა საბაჟო და სასაზღვრო ზონები. მეტად განსაკუთრებულ როლს თამაშობს იგი, როგორც წევრი ქვეყნების, ისე მასთან ურთიერთობებში მყოფ სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა შიდა ეროვნული კანონმდებლობების და ევროსამართლის ჰარმონიზაციის პროცესი.

ევროკავშირს აქვს თავისი სიმბოლოები : დროშა – ცისფერ ფონზე თორმეტი ოქროსფერი წრიულად განლაგებული ვარსკვლავით; ჰიმნი - “სიხარულის ოდა“ ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან.

ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აქვს ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს, აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარ და პატივს სცემს სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს, შეიძლება გახდეს ევროკავშირის წევრი. ეს კავშირი ნებაყოფლობითია და სახელმწიფოებს თავიანთი სუვერენიტეტის

გარკვეულად შეზღუდვის სანაცვლოდ ხელი მიუწვდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე ისეთი საკითხების გადაწყვეტასთან, რაც მათ დამოუკიდებლობას მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს.

მრავალფეროვნების მიუხედავად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საერთო ფასეულობები უღვეთ საფუძვლად. ქმნიან რა პარტნიორულ გაერთიანებას, მათი მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიის, მშვიდობიანი თანაცხოვრების განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობას. ევროკავშირს დახმარება წვდება განვითარებად ქვეყნებს, აქ მას წამყვანი პოზიციები უჭირავს. ევროკავშირს სპეციფიური სტრუქტურა გააჩნია, მოკლედ შევხებით მათ ადგილსა და ფუნქციებს.

ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ევროპარლამენტი. იგი ერთადერთი საერთაშორისო ორგანოა, რომლის წევრებიც პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრით არიან არჩეულნი. ევროპარლამენტი ევროპის უმაღლეს ფორუმს წარმოადგენს. ევროპარლამენტის არჩევნები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება (პირველი არჩევნები 1979 წელს იენისში ჩატარდა). პლენარულ სესიებზე პარლამენტი სტრასბურგში (საფრანგეთი) იკრიბება, პარლამენტის კომიტეტების და პოლიტიკური ჯგუფების სამუშაო ადგილი კი ბრიუსელშია (ბელგია); პარლამენტის სამდივნო (“General Secretariat”) ლუქსემბურგში მდებარეობს. ევროპარლამენტი ამტკიცებს ევროკავშირის ბიუჯეტს, განიხილავს და მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად გადასაცემს კანონპროექტებს. განიხილავს და ამტკიცებს ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების მოთხოვნებს და სხვადასხვა ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებულ შეთანხმებებს. ევროპარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები ავტომატურად შედიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. საერთოდ, ევროპარლამენტის ფუნქციებში დელეგირებულია წევრი სახელმწიფოების ეროვნული პარლამენტების კომპეტენციათა თითქმის ნახევარი. თეორიულად, თუნდაც პრაქტიკულად, ფუნქციათა დელეგირება ხდება იმ წარმომადგენლობითი ორგანოსათვის, რომელიც თითქმის ეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოს პრინციპებით – ხალხის ნების შესაბამისად ფორმირდება.

ევროპარლამენტის ძირითადი ფუნქციები - ევროკავშირის საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და კონტროლი ევროკავშირის ინსტიტუტების საქმიანობაზე - განსაკუთრებით განმტკიცდა მაასტრიხტის მოლაპარაკებების შემდეგ. ამ პერიოდიდან, ევროპარლამენტი აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის

კანონმდებლობის დამუშავების პროცესში და ევროკომისიასთან და ევროკავშირის საბჭოსთან ერთად ახორციელებს ევროკავშირის მართვას.

ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ უფლებამოსილ ინსტიტუტს წარმოადგენს ევროკავშირის საბჭო – ევროპული საბჭო. მოგიერთი ავტორი ქართულად ამ სტრუქტურას ევროსაბჭოს უწოდებს, რაც მისი დასახელების არამზუსტი თარგმანია და ხშირად მკითხველს აბნევს. რამდენადაც ევროსაბჭო სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის – ევროპის საბჭოს შეკვეცილი სახელია (Council of Europe და არა European Council რაც ჩვენს შემთხვევაშია) ევროპულ საბჭოში წარმოდგენილია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო. მისი წევრები კენჭისყრის საფუძველზე განიხილავენ და იღებენ საკანონმდებლო აქტებს. საბჭო შედგება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებისაგან. ყოველი წევრი ქვეყანა ავგანის თავის ერთ ან მეტ სრულუფლებიან წარმომადგენელს ევროკავშირის საბჭოში. როგორც წესი, ეს წარმომადგენლები შეირჩევიან იმ სამინისტროებისა და დეპარტამენტებიდან, რომელთა სფეროსაც მიეკუთვნება მოცემულ მომენტში განსახილველი საკითხი. ამის შესაბამისად, იცვლება საბჭოს შემადგენლობა და სახელწოდება, (მაგალითად, სოფლის მეურნეობის, ფინანსების, განათლების, უცხოეთის საკითხების და სხვა საერთო პრობლემების საბჭოები). საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა მოახდინოს წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური ინტერესებისა და თანამეგობრობის ინტერესების შეთანხმება და დაბალანსება. საბჭოს სხდომები მიჰყავთ იმ ქვეყნის მინისტრებს, რომელთა წარმომადგენელიც თავმჯდომარეობს.

ევროკომისიას საფუძველი ჩაეყარა 1958 წლის 1 იანვარს, როდესაც რომის მოლაპარაკების ბაზაზე შეიქმნა EEC-ის და EUROATOM-ის კომისიები. ხოლო ევროპის კომისია 1967 წლის 1 ივლისს ECSC, EEC და EUROATOM-ის კომისიების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. მისი პირველი პრეზიდენტი იყო ჟან რეი.

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს. ევროკომისია ოცდახუთი წევრისაგან შედგება. ამჟამად, ევროკომისიის თავმჯდომარეა ჟოზე მანუელ ბაროსო, რომელიც ამ პოსტზე 2004 წლის 22 ნოემბერს აირჩიეს. კომისიის წევრები თავის საქმიანობაში დამოუკიდებელნი არიან ეროვნული ხელისუფლებებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავისი სახელმწიფოების მთავრობების მიერ ინიშნებიან. კომისიის თითოეული წევრი შესაბამის სფეროს კურირებს. კომისია თავის სხდომებს ატარებს კვირაში ერთხელ, მაგრამ საჭიროების

შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი სხდომის მოწვევა. გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო მიღების შემთხვევაში მისი შესრულება სავალდებულოა კომისიის თითოეული წევრისათვის, რომელთაც ამ გადაწყვეტილებების შესრულებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრიათ.

ევროკომისიის თითოეული წევრი პასუხს აგებს პოლიტიკის განსაზღვრულ მიმართულებაზე. ევროკომისიას გააჩნია სამუშაო აპარატები ბრიუსელში (შტაბ-ბინა) და ლუქსემბურგში, სადაც დასაქმებულია 24000 ადამიანი. ევროკომისიას თითქმის მთელ მსოფლიოში აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობები.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, ევროკავშირი შექმნილია მოლაპარაკებების საფუძველზე, რომლის შესაბამისად შეთანხმებული და ხელმოწერილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. საკანონმდებლო აქტების შესრულება კონგრუალს მოითხოვს. ამ მიზნით შექმნილია ევროგაერთიანებების სასამართლო რომელიც, ინტეგრაციის ერთ-ერთ უმთავრეს გაულენიან ინსტიტუტს წარმოადგენს. თავად სასამართლოს არსებობა, მისი ფუნქცია და უფლებამოსილება, მოღვაწეობის პრაქტიკა ასახავს თანამეგობრობის ბუნებას, მის თავისებურებას. იგი არ წარმოადგენს ტრადიციული ეროვნული სასამართლოების ასლს. მას საერთაშორისო ორგანიზაციის სასამართლოს ბევრი თვისებები აქვს, რომელიც თანამეგობრობაში შემავალი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში მოქმედებს. ამასთან, აღნიშნული სასამართლო არსებითად განსხვავდება ისეთი კარგად ცნობილი სასამართლოებისაგან, როგორებიცაა გაეროს საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში (ჰოლანდია) და ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლო სტრასბურგში (საფრანგეთი).

ევროპის თანამეგობრობის სასამართლო მდებარეობს ქლუქსემბურგში. სასამართლო დაარსდა 1957 წელს. როგორც ევროკავშირის ერთადერთ მაკონტროლებელ ორგანოს, მას არაერთი ისეთი ფუნქცია აქვს დაკისრებული, რომელიც ჩვეულებრივი სასამართლოს ფუნქციებს სცილდება.

ევროკავშირი თანმიმდევრულად ვითარდება და ფართოვდება, 2004 წლის 1 მაისს მას 10 სახელმწიფო შეუერთდა (ესტონეთი, უნგრეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, მალტა, კიპროსი, პოლონეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიგვა). კანდიდატ ქვეყნებად აღიარებულია ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი და ხორვატია. ევროკავშირის საქმიანობა ევროპული ინტეგრაციის გაღრმავებისათვის კარგად

ჩანს თუნდაც მის დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ. საქართველოს, რომელიც 1999 წლიდან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანაა, არჩევანი გაკეთებული აქვს. ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია მისი უმთავრესი საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირთან დაახლოება მიზანმიმართულად მიმდინარეობს, არა იმიტომ რომ ეს ორგანიზაცია ერთერთი სერიოზული გაერთიანებაა ევროპაში და მისი წევრობა ბევრ სიკეთეს მოუტანს ისეთი მწირი შესაძლებლობების სახელმწიფოს, როგორც საქართველოა, არამედ ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდანვე, გამოამქვადნეს ახალი, სუსტი ქვეყნისადმი დიდი ყურადღება, გულისხმიერება და რაც მთავარია თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სურვილი.

საქართველომ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, პირველად დაინახა ძლიერში თანასწორი, რომელიც მისგან მხოლოდ კეთილმეზობლობას, ურთიერთთანამშრომლობასა და ევროპული ოჯახის ჰარმონიულად განვითარებაში თანამდგომელს ეძებდა. ჯერ კიდევ, 1992 წლიდან ევროკავშირის დახმარებამ საქართველოს და, ზოგადად, ამიერკავკასიის რეგიონის მიმართ მიზანდასახული სახე მიიღო. გამოიკვეთა დახმარების სამი ძირითადი მიმართულება: საფინანსო დახმარება, ჰუმანიტარული დახმარება (ძირითადად სასურსათო დახმარების სახით), ტექნიკური დახმარება. ტექნიკური დახმარების პროგრამის - “ტასისის” - საშუალებით ევროკავშირმა დახმარება გაუწია საქართველოს თავისი ეკონომიკური პოტენციალის განვითარებაში.

1997 წელს ევროკომისიამ საქართველოს წარუდგინა რეაბილიტაციის პროგრამა კონფლიქტის აღცილებში ინფრასტრუქტურის აღსადგენად (აფხაზეთში - 10 მილიონი ევრო და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში - 7,5 მილიონი ევრო). რეაბილიტაციის ღონისძიებები მნიშვნელოვანია ნდობის აღსადგენად მშვიდობის დამკვიდრების პროცესში. ევროკომისია 2001 წლის აპრილიდან მონაწილეობას იღებს სამხრეთ ოსეთზე მომუშავე ერთობლივი საკონტროლო კომისიის საქმიანობაში.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის საფუძველია “შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ”. შეთანხმებას 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში მოეწერა ხელი. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მთავარი მიზნებია: მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისთვის სათანადო სტრუქტურის შემუშავება, რაც პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების საშუალებას უზრუნველყოფს;

საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა დემოკრატიის გაძლიერებაში, ეკონომიკის განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაზე საბოლოოდ გადასვლაში; მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტირების, აგრეთვე ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობების მხარდაჭერა და ამ გზით მათი მყარი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა; სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამოქალაქო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩაყრა. შეთანხმება, რომელიც ათწლიანი პერიოდით დაიღო, ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. კასპიის ნავთობი სწრაფად იქცა მსოფლიო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელთანაც დაკავშირდა ინტერესთა მთელი სპექტრი. მათ შორის, რუსეთის სტრატეგიული ინტერესები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები შუა აზიის ქვეყნებთან, ირანის პოზიციები რეგიონისა და დასავლეთის მიმართ. გარდა ამისა, ჩინეთის, პაკისტანისა და ინდოეთის ინტერესები. 1998 წლისათვის ნათლად იკვეთება კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებული პროექტების პერსპექტივები და კონტურები. დასავლეთში უფრო ნათლად აცნობიერებენ, რომ კასპიის ენერგორესურსების „გეოპოლიტიკურ თამაშში“ საქართველოს განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო. ამ გარემოებას ამერიკელი პოლიტოლოგო გ. ჰოვარდი სამი ფაქტორით ხსნიდა: საქართველოს საკვანძო მდებარეობით ბაქო-ჯეიჰანის მარშრუტზე; საქართველოს ცენტრალური ადგილით „ტრასეკას“ მარშრუტზე, რომლისათვისაც ევროკავშირი მნიშვნელოვან სახსრებს გამოჰყოფდა. „ბაქო-სუფსის“ ნავთობსადენით, რომელიც მთავარი საექსპორტო მარშრუტის ერთერთ რეალურ ვარიანტად მიიხსენებდნენ. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა 2002 წლის 18 ნოემბრის საბჭომ და 2002 წლის 12-13 დეკემბერს ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის სამიტმა გამოხატა სურვილი რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ბელორუსთან და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან, ევროკავშირის ურთიერთობების გაღრმავების შესახებ და მიესალმა ევროკომისიისა და ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის სურვილს, ბოლომდე მიიყვანონ აღნიშნული საკითხი. ეს ინიციატივა ევროკავშირის „სამეზობლო პოლიტიკის“ სახელითა ცნობილი.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2004 წლის 14 ივნისს საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის „ევროპის სამემობლო პოლიტიკის“ წევრად ცნობა. 2004 წლის სექტემბერში საქართველოში ვიზიტით ჩამოსულმა ევროკომისიის პრეზიდენტმა რომანო პროლიმ განაცხადა: „ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროკავშირის რეგიონთან დაახლოების თვალსაზრისით“. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს მთავრობას განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები ევროკავშირის სამემობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისათვის, რომელიც მრავალ უმნიშვნელოვანეს საკითხს მოიცავს, მათ შორის: - კანონის უზენაესობის განმტკიცება, რაც სამართალდამცავი და პენიტენციალური სისტემის რეფორმის განხორციელებასაც გულისხმობს; - სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება, რომელიც საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, საზღვრის განმტკიცებასა და სასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებასაც მოიცავს. - ადამიანის უფლებების სრული და განუხრელი დაცვა, გრეფიციენცისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება; - თანამშრომლობა ოთხი თავისუფლების გავრცელების სფეროში (ადამიანთა, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალისა თავისუფალი გადაადგილება); - ვაჭრობის განვითარება და ინვესტიციებისათვის ხელისშეწყობა; - ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; - ენერჯეტიკის განვითარება. უპირატესად საქართველოს გრანს-რეგიონალურ ენერჯო სისტემებში ჩართვის ხელშეწყობა კასპიის ზღვის ენერჯორესურსების ევროკავშირის ბაზარზე მისაწოდებლად; - გრანსპორტის დარგში ეროვნული სტრატეგიის შემუშავება; - საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში; - თანამშრომლობა საქართველოში სოციალური პარტნიორობის ბაზაზე, პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (Lifelong Learning) განვითარების მიზნით და მრავალი სხვა.

ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის მიმდინარეობა და პერსპექტივები დეტალურადაა გაანალიზებული ევროინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2005 წლის ანგარიშში, რომელიც გამოქვეყნებულია მის ვებგვერდზე. ამდენად, მისი დეტალურად განხილვის აუცილებლობა ჩვენს წინაშე არ დგას. ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველო თანმიმდევრულად ახორციელებს ევროატლანტიკულ სტრუქტურებთან დაახლოების ამოცანებს რაც ამ პროცესის შეუქცევადობის გარანტიაა. ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ხელს შეუწყობს

საქართველოს განამტკიცოს თავისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, განავითაროს ეკონომიკა, გაავრცელოს მთელს თავის ტერიტორიაზე კონსტიტუციის მოქმედება და სახელმწიფოს იურისდიქცია, მშვიდობიანად გადაჭრას ყველა კონფლიქტი და დავა, საბოლოო ჯამში გახდეს ახალი ევროპის განუყოფელი ნაწილი. რიტაც გადაიდგემა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ახალი, ერთიანი და მშვიდობიანი ევროპისაკენ.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, „რაიზი“, 2004.
2. „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“, ტ. I, თბილისი, 1998.
3. მ. აბაშიძე, „ნატო და საქართველო უტოპიიდან რეალობამდე“, თბილისი, 2000.
4. ნ. ავალიანი, შ. დოლონაძე „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები“, „მეცნიერება“, 2000.
5. ნ. ავალიანი, შ. დოლონაძე „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები“, „მეცნიერება“, 2001. 2 ტ.
6. შ. დოლონაძე „საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ“, „მეცნიერება“, 2002.
7. რ. მეტრეველი, გ. ბოლოთაშვილი „ქართული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისათვის“, ქართული დიპლომატია (წელიწადწლეული), თბილისი, 1994
8. ა. რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, თსუ, 1996.
9. *Äär òä Äèè àüäð. Í í ï ððèÿ. / Í äð. ñ è ò à è. . Ä. Ä. Ç ä í è à à, È í ï á í ð à ð è è È. Ä . Ä è á í è ù à à è-È ö ö ç ð à à. - Í ., «è ä í í í - ð ä ñ ñ - Ö» - «È ö ÷ è í á í í è ä», 1999.*
10. *Ä è í è í ï à è - ä ñ è à ÿ ñ è ó ä è à, È Í Ñ Ñ Í Ý Í , Ì í ñ è à à 2002.*
11. *Ä è í è í ï à è - ä ñ è è è ñ è í à à ð ù, È ç ä à ä á ú ñ ò á í „Í à ö è à“, Ì í ñ è à à 1984.*
12. *È í ó í ð ï à è ò èÿ. Ä è í è í ï à è ÿ. Í ñ è ö í è í ä è ÿ., È ç ä à ä á ú ñ ò á í “È ç ä á ñ è ð èÿ”, Ì í ñ è à à 2002.*
13. *Ç í í à à Ö Ä. Ñ ï ä ð à í í à ÿ í í ä ä è ù ä è í è í ï à è è - è ñ è í è è ñ è ó í í à è á í è ÿ è í ä ð ñ à è è è à è ä ç à è è è ÿ, È Í Ñ Ñ Í Ý Í , Ì í ñ è à à 2003.*

14. Êáí í ääè Ĩ . Âñðí àÿ â ääääöàòü ï áðâú é ââé. - Ĩ ., 1997.
15. Ĩ äæáóí àðí áí í â í ðaaí . Ó-âáí èé. Èçä. 2-â, âí í . È í àðâðaa. / Ĩ òâ. Ðää. Ð . Ĩ . Êí èí ñî â, Â.È. Êóçí áóí â. - Ĩ ., 1998.
16. Â. Ðàì àéâé “Ðääèí èèüí ú â è ì äæáóí àðí áí ú â ðääèì ú ááçí ï àñí í ñòè, “ÿòí è-âñèèâ è ðääèí èèüí ú â èí í òèèèòú â ÿâðaçèè” èí èää 3, “Ââñüí èð”, Ĩ í ñéää, 1997, ñò.300
17. Õèâáí èí áĨ .Â. Ñí àðâì áí í ú â ì äæáóí àðí áí ú â í òí í ð áí èÿ. Ĩ í ñéää, 2001.
18. Archer C. International Organizations. 2nd ed. - L. - N.Y, 1992
19. Diplomatic Handbook , London, 1998.
20. The NATO Handbook, Brussels, Belgium, 1999.
21. The Prague Summit and NATO‘S transformation, NATO Public diplomacy division, Brussels, 2003.
22. ქსელური გვერდი ინტეგრაციაში www.eu-integration.gov.ge.

Shota Dogonadze

Europe -Unity is Strength Resume

Since ancient times the ideas of unity, peace and welfare have encouraged humauity to explore the forms and tools, providing of noble aims, instead of confrontation and wars on the planet. These ideas will develop mutually beneficial cooperation having been far from flawless till now.

Sometimes human dreams are realized. EU - the alliance of states - is considered to be one of the best patterns pf the above mentioned realized dream. The article deals with the brief history, goals and objectives of EU. The article justifies the reson for the orientation of Georgia on EuroAtlantic Union. The article focuses on The cooperation of Georgia - EU.